



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1251
29/06/2018

ქალაქი ბათუმი

1251-05-4-201806291225



„ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეთა ტრანსპორტით და საწვავით უზრუნველყოფის შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 13 ივნისის №1148 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის კახაბერ ფუტკარაძის 2018 წლის 22 ივნისის №1776-05 მოხსენებითი ბარათისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის თავმჯდომარის შოთა ლორთქიფანიძის 2018 წლის 20 ივნისის №8626/05 მომართვისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსის თეიმურაზ გაწერელიას 2018 წლის 27 ივნისის №1786-05 მოხსენებითი ბარათის თანახმად ვბრძანებ:

1. „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეთა ტრანსპორტით და საწვავით უზრუნველყოფის შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 13 ივნისის №1148 ბრძანებაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

ა) ბრძანების პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) ავტომანქანა „მიცუბიში“ L200 სახელმწიფო ნომერი №G-051-NA ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს კახაბერ ფუტკარაძეს, საწვავის თვიური ლიმიტი განისაზღვროს 350 (სამასორმოცდაათი) ლიტრის ოდენობით;“;

ბ) ბრძანების პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მ) ავტომანქანა „მიცუბიში აუთლენდერი“ სახელმწიფო ნომერი ILL- 101 ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიას (შოთა ლორთქიფანიძე), საწვავის თვიური ლიმიტი განისაზღვროს 400 (ოთხასი) ლიტრის ოდენობით.“

გ) ბრძანების პირველი პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ნ“ ქვეპუნქტი:

„ნ) ავტომანქანა მიკროავტობუსი „ფორდი“ სახელმწიფო ნომერი BBM-054 ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის III რანგის II კატეგორიის უფროს სპეციალისტს მანუჩარ ჯიხაძეს.“

დ) ბრძანების 11¹; 11²; 11³; 11⁴; 11⁵; 11⁶; 11⁷; 11⁸; 11⁹; 11¹⁰; 11¹¹ პუნქტებში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„11¹. მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ადმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობის განყოფილების III რანგის I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მახინჯაურის ადმინისტრაციულ ერთეულში გულნაზი ღლონტს სამსახურეობრივი მოვალეობათა შესრულებისათვის გამოეყოს საწვავი, რომლის თვიური საერთო ლიმიტი განისაზღვროს 50 (ორმოცდაათი) ლიტრის ოდენობით;

11². მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ადმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობის განყოფილების III რანგის I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

11¹³. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის, საპროექტო განყოფილების უფროსს ხვიჩა ბერიძეს სამსახურეობრივი მოვალეობათა შესრულებისათვის გამოეყოს საწვავი, რომლის თვიური საერთო ლიმიტი განისაზღვროს 50 (ორმოცდაათი) ლიტრის ოდენობით.“.

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა

